საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ირაკლი ადეიშვილის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	16	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	3	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	90	100

სახელი, გვარი: ლევან გზირიშვილი

თარიღი: 27.05.2021 წ.

ირაკლი ადეიშვილი

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატი არის კორექტული და პატიოსანი. მას გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. ის სათანადოდ ასრულებს თავის მოვალეობებს, მათ შორის ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს. მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. კანდიდატი არის თავდაჭერილი. აღსანიშნავია, რომ მას აქვს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია კოლეგებს შორის. კანდიდატი არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით. ის ღიად და გამჭვირვალედ აფიქსირებს თავის მოსაზრებებს.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	**16**	**20**	კანდიდატი დამაკმაყოფილებლად ფლობს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ამასთან, ის მეტნაკლებად ფლობს სისხლის სამართლის კანონმდებლობას. დამაკმაყოფილებელია მისი

			ცოდნის დონე ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების სფეროში, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის კუთხით.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20	კანდიდატს აქვს საკმაოდ ხანგრძლივი და მრავალფეროვანი პროფესიული გამოცდილება, რომლის წარმოჩენა მან დამაკმაყოფილებლად მოახერხა გასაუბრების შედეგად. მას ძირითადად აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებსა და სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები სათანადოდ არის დასაბუთებული და დამაჯერებელია.
წერის უნარი	19	20	კანდიდატს აქვს ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. თავის მოსაზრებებს წერილობით კანდიდატი აფიქსირებს თანმიმდევრულად, დასაბუთებულად, მარტივი და გასაგები ენით.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	ზეპირი კომუნიკაციისას კანდიდატმა გამოავლინა გამართული მეტყველების უნარი. ის თავის მოსაზრებებს ძირითადად ასაბუთებს. ამასთან, კანდიდატმა გამოავლინა სხვისი მოსაზრების მოთმინებით მოსმენის უნარი.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15	კანდიდატი არის პუნქტუალური. მას გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. კანდიდატი არის შრომისმოყვარე და მიზანდასახული.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	3	5	კანდიდატს გააჩნია თვითგანვითარების უნარი. მას გააჩნია ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, ამასთან, მას შესწევს უნარი შეძენილი ცოდნა შესაბამისად გამოიყენოს პრაქტიკაში. კანდიდატი არცთუ ისე აქტიურად ესწრება პროფერიულ ტრენინგებსა თუ სემინარებს.
პროფესიული აქტივობა	5	5	კანდიდატი ეწევა სამეცნიერო საქმიანობას, ის არის არაერთი სამართლებრივი თუ სამეცნიერო სტატიისა და სახელმძღვანელოს ავტორი და თანაავტორი. ის არის პროფესიულად საკმაოდ აქტიური.
ქულათა ჯამი	**90**	**100**	

დასაბუთება	საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებას საფუძვლად უდევს გასაუბრება და მის შესახებ მოძიებული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა უწყებიდან გამოთხოვილ და თავად კანდიდატის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მისი რეკომენდატორებისა და გამოკითხული რესპოდენტების (კანდიდატის კოლეგების) მიერ შევსებულ კითხვარებსა და რეკომენდაციებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 36[3] მუხლის შესაბამისად ფასდება კანდიდატის კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა. **<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით</u>** მოსამართლეობის კანდიდატის, ირაკლი ადეიშვილის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები: • *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;* • *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;* • *პიროვნული და პროფესიული ქცევა;* • *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;* • *ფინანსური ვალდებულება.* **<u>პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი</u>** მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ ირაკლი ადეიშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. თავის ფინანსურ ვალდებულებებს კანდიდატი ასრულებს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, ამასთან, მას არ უფიქსირდება მიმდინარე ვადაგადაცილებული ფინანსური ვალდებულება. კანდიდატის შესახებ მონაცემები იძებნება მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში, კერძოდ, კანდიდატი იყო ა(ა)იპ „სამოქალაქო განვითარების სააგენტოს" გამგეობის წევრი. ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმები კანდიდატს დაფარული აქვს დროულად, კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დაცვით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი თავის მოვალეობებს ასრულებს სათანადო პასუხისმგებლობით.

	კანდიდატმა გამოავლინა კორექტულობა და თავშეკავებულობა. ის ღიად და გამჭვირვალედ აფიქსირებდა თავის მოსაზრებებს. **<u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა</u>** გამოკითხული კოლეგები დადებითად აფასებენ კანდიდატის პრინციპულობას, კეთილსინდისიერებასა და დამოუკიდებლობას დადებითად აფასებენ მისი რეკომენდატორები და გამოკითხული კოლეგები. მოძიებული ინფორმაციის თანახმად კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, შემომწირველი ანდა მხარდამჭერი. ამასთან, გასაუბრების შედეგად კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის შეუწყნარებლობა ან ტენდენციური დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. შესაბამისად, კანდიდატი არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით. **<u>პიროვნული და პროფესიული ქცევა</u>** გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატმა გამოავლინა თავშეკავებულობა, კორექტულობა. ის თავის მოსაზრებებს აფიქსრიებდა ღიად და გამჭვირვალედ. ამასთან, კანდიდატმა გამოავლინა ემოციების მართვის კარგი უნარი. მის კორექტულობას, კომუნიკაბელურობასა და თავშეკავებულობას დადებითად აფასებენ კანდიდატის რეკომენდატორები და გამოკითხული კოლეგები. მოძიებული ინფორმაციის თანახმად კანდიდატის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალდება არ დაფიქსირებულა. კანდიდატი იყო მოსარჩელე ერთ სამოქალაქო საქმეში (დავის საგანი - პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა). თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელეს სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც უცვლელი დატოვეს ზემდგომმა ინსტანციებმაც. **<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია</u>** აღსანიშნავია, რომ ირაკლი ადეიშვილს აქვს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია კოლეგებს შორის. გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატს ახასიათებენ კარგად, გამოარჩევენ მის შრომისმოყვარეობას, კომპეტენციას, კეთილსინდისიერებასა და ა.შ.. ამასთან, რეკომენდატორები კანდიდატის სისუსტედ უთითებენ საქმიან

ურთიერთობებში ზედმეტი ნდობის ფაქტორს.

<u>ფინანსური ვალდებულებები</u>

როგორც უკვე აღინიშნა, ირაკლი ადეიშვილი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ფინანსურ ვალდებულებებს. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ აღნიშნული გამორიცხავს მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების შედეგად, მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით საფრთხის შექმნის ეჭვს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე კეთილსინდისიერების პრეზუმფციის გათვალისწინებით, რომლის თანახმად მოსამართლე ითვლება კეთილსინდისიერად თუ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის თანახმად არ დადასტურდება მის მიერ რაიმე სახის არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა, მიმაჩნია, რომ კანდიდატი, ირაკლი ადეიშვილი <u>სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს.</u>

<u>კომპეტენტურობის კრიტერიუმების</u> მახასიათებლებით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები:

- *სამართლის ნორმების ცოდნა;*
- *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;*
- *წერის უნარი;*
- *ზეპირი კომუნიკაციის უნარი;*
- *პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;*
- *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;*
- *პროფესიული აქტივობა.*

<u>სამართლის ნორმების ცოდნა</u>

გასაუბრების მსვლელობისას კანდიდატს დაესვა არაერთი სამართლებრივი თუ ზოგადი ხასიათის შეკითხვა. თავის მხრივ, კანდიდატი ცდილობდა ამომწურავად და დასაბუთებულად ემსჯელა საკითხზე და დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ გარკვეულ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით მისი მსჯელობა არ

	იყო სრულყოფილი. შესაძლებელია ითქვას, კანდიდატი დამაკმაყოფილებლად ფლობს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ამასთან, ის მეტნაკლებად ფლობს სისხლის სამართლის კანონმდებლობას. მიუხედავად აღნიშნულისა, კანდიდატმა სათანადოდ ვერ ამოწურა და ვერ დაასაბუთა თავისი პოზიცია საკასაციო საჩივრის გამოხმობის საკითხთან დაკავშირებით სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეზე, ასევე მან ვერ განავითარა შესაბამისი მსჯელობა სპეციალური მოსარჩელის ინსტიტუტთან დაკავშირებით. ამასთან, კანდიდატმა ვერ დაასახელა იმ საქმეთა კატეგორიები, რომელიც არ ექვემდებარება მედიაციას. დამაკმაყოფილებელია მისი ცოდნის დონე ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების სფეროში, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის კუთხით. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მას საფუძვლიანად აქვს გამოკვლეული გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხები. თუმცა, კანდიდატმა ვერ განავითარა სათანადო და დასაბუთებული მსჯელობა დისკრიმინაცის აკრძალვასთან დაკავშირებით, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციასა და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში მითითებული დისკრიმინაციის ნიშნებიდან რომელი ნიშანი შეიძლება ჩაითვალოს აბსოლიტურად. ასევე, კანდიდატმა ამომწურავად ვერ დაასახელა შემთხვევები, როდესაც შესაძლებელია სასამართლოსათვის მიმართვის უფლების შეზღუდვა და ა.შ.. კანდიდატმა დამაკმაყოფილებლად იცის საქართველოს კონსტიტუცია, ასევე საერთაშორისო აქტები, თუმცა, მან მსჯელობისას მკაფიოდ ვერ განსაზღვრა უზენაესი სასამრთლოს და სახალხო დამცველის როლი საერთაშორისო ხელშეკრულების დადებისას, ასევე, რა პრინციპს ეფუძნება სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების უფლებამოსილებათა გამიჯვნა. კანდიდატს ასევე გაუჭირდა უზენაესი სასამართლოს პლენუმის უფლებამოსილებების ჩამოთვლა. საბოლოო ჯამში, კანდიდატისათვის დასმული სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვებთან დაკავშირებით მსჯელობის შედეგად მან დამაკმაყოფილებლად ანდა სრულყოფილად ამოწურა კითხვათა საერთო რაოდენობის დაახლოებით 75%.

	<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u> კანდიდატს აქვს 21-წლიანი საკმაოდ მრავალფეროვანი პროფესიული გამოცდილება, რომელიც მოიცავს 10-წლიან სამოსამართლო გამოცდილებასაც. მიმაჩნია, რომ თავისი გამოცდილებისა და დაგროვებული ცოდნის წარმოჩენა მან დამაკმაყოფილებლად მოახერხა გასაუბრების შედეგად. კანდიდატს ძირითადად აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებსა და სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები სათანადოდ არის დასაბუთებული, რაც სძენს მათ დამაჯერებლობას. **<u>წერის უნარი</u>** კანდიდატს აქვს ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. თავის მოსაზრებებს წერილობით კანდიდატი აფიქსირებს თანმიმდევრულად, დასაბუთებულად, მარტივი და გასაგები ენით. **<u>ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>** გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატმა გამოავლინა გამართული მეტყველების უნარი. ის თავის მოსაზრებებს ძირითადად ასაბუთებს სათანდოდ. ამასთან, კანდიდატმა გამოავლინა სხვისი მოსაზრების მოთმინებით მოსმენის უნარი. **<u>პროფესიული თვისებები</u>** კანდიდატი არის პუნქტუალური. მას გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატის სამოსამართლო გამოცდილების მიმოხილვის შედეგად გამოვლინდა, რომ გადაწყვეტილებების მიღებისას ის არ ხელმძღვანელობს პირადი დამოკიდებულებით ან საზოგადოებრივი აზრით. კანდიდატი არის შრომისმოყვარე და მიზანდასახული. **<u>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>** კანდიდატს გააჩნია თვითგანვითარების უნარი. მას გააჩნია ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, რაზეც მეტყველებს მის მიერ მიღებული განათლება, ასევე სტიპენდია, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში სწავლისათვის. ამასთან, მას შესწევს უნარი შეძენილი ცოდნა შესაბამისად გამოიყენოს პრაქტიკაში. კანდიდატი არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა და მედიატორთა ასოციაციის

	წევრი. **<u>პროფესიული აქტივობა</u>** კანდიდატი ამჟამად არის დოქტორანტი და ეწევა სამეცნიერო საქმიანობას, ის არის არაერთი სამართლებრივი თუ სამეცნიერო სტატიისა და სახელმძღვანელოს ავტორი და თანაავტორი. ირაკლი ადეიშვილი იყო Ad hoc მოსამართლე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, არსებითად განხილული საქმეებში - # 30097/03 მუმლაძე საქართველოს წინააღმდეგ; # 25091/07 ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ. კანდიდატი იყო ინგლისისა და უელსის კომერციული სასამართლოს ბიზნესისა და ქონებრივი დავების სასამართლო პალატის სამართლის ექსპერტი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი იშვიათად ესწრება სასწავლო პროფესიულ შეხვედრებს.

სახელი და გვარი: ლევან გზირიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 27.05.2021 წ.